შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ერთწლიანი საშოქმედო გეგმის ანგარიში
23.03.2020-31.03.2021 წწ

ფასილიტატორი: ალინა კუპრავა

შემუშავების პროცესი I ეტაპი

- 2020 წლის 11-12 იანვარს შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის დაფინანსებით და ორგანიზებით აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალისათვის ბაზალეთზე გაიმართა ორდღიანი ვორქშოფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციის მისიის ხედვის, ღირებულებების, სვოტ-ანალიზის და სტრატეგიული დაგეგმარების საკითხების შემუშავება, ვორქშოფის მეორე ნაწილი დაეთმო ეფექტური კომუნიკაციის და პროექტების მართვის საკითხებს.
- ვორქშოფს ფასილიტაციას უწევდა ენერგო პრო ჯორჯიას ადამიანური რესურსების ხელმძღვანელი: გიორგი ტრაპაიძე და მოწვეული ექსპერტი ნია გოგუაძე.
- სამუშაო შეხვედრა ინტერაქტიულად განხორციელდა, თემატურ ჯგუფებში მონაწილეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და ახალი ინიციატივები.

შემუშავების პროცესი II ეტაპი

- 2020 წლის 21 იანვარს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის სამუშაო ვორქშოპი/ ტრენინგი თემაზე: შეფასება პროფესიულ განათლებაში;
- ვორქშოპის მეორე ნაწილი დაეთმო აკადემიის swot ანალიზზე მუშაობას, მასწავლებლები დაიყვნენ ოთხ ჯგუფად და იმუშავეს დაწესებულების ძლიერ, სუსტ მხარეებზე, ჩამოაყალიბეს საფრთხეები და შესაძლებლობები, თითოეულ ჯგუფში ფასილიტაციას უწევდა ადმინისტრაციის თანამშრომლები.
- სამუშაო ჯგუფებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და განხორციელდა მათი განხილვა, ამ ნაწილში ასევე წარმოდგენილი იქნა ბაზალეთზე ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სვოტ ანალიზის შედეგები და მოხდა მათი შედარება -შეჯერება.

შემუშავების პროცესი III ეტაპი

- ინფორმაციის შეჯამება;
- სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა;
- განხილვები;
- გეგმის დამტკიცება რექტორის ბრძანებით 2020 წლის 23 მარტი;



რას ემსახურება ანგარიშგება?



- ანგარიშგების პერიოდი და ფორმა არის ერთგვარი შეთანხმება თანამშრომლებს შორის იმაზე, თუ, სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე არსებული პროგრესიის შესახებ, შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რა სიხშირით და რა ფორმით მოამზადებენ ანგარიშებს.
- ანგარიშების შუალედური წარმოდგენა დაგეგმილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 6 თვეში ერთხელ და შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმის 1 წელში ერთხელ, გეგმების შესრულების მონიტორინგი ევალება დაწესებულების რექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს.
- სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განხილულია შემდეგი საკთხები:

რა შესრულდა? რისი განხორციელება შეფერხდა? რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და საჭიროა, რომ ამოღებული იქნას გეგმიდან? რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო? როგორ მივყვებით განხორციელების ვადებს და ა.შ.

- სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებული უნდა იქნეს სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც უნდა დაესწროს ადმინისტრაციის თანამშრომლები, საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები და სხვა;
- გეგმების ანგარიშები უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლოა გადაიხედოს სტრატეგიული გეგმა/შევიდეს ცვლილებები.

შუალედური და საბოლოო ანგარიშგება!

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა ალინა კუპრავამ ადმინისტრაციას პლათფორმა Zoom-ის საშუალებით კოლეგებთან ერთად განიხილეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის წარმოდგენის ფორმა.
- ადმინისტრაციულმა პერსონალმა მოხსენებითი ბარათებით წარუდგინეს რექტორს, მის კომპეტენციას მიკუთვნებული აქტივობების შესრულების/არშესრულების შესახებ ანგარიშები;
- რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საბოლოო აგნარიშგების მოსამზადებლად!





სამოქმედო გეგმის დეტალური ანგარიში!

2020 წლის 23 მარტი

2021 წლის 31 მარტი

სტრატეგიული მიზანი 1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება
კონტიგენტის რაოდენობის გაზრდა

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

2020 წლის **30** ივლისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საექთნო განათლების პროგრამაზე აკადემიამ **28**-ით გაზარდა სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

სტრატეგიული მიზანი 1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების დამატება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

2020 წლის **30** ივლისის
პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს გადაწყვეტილებით
დამატებულ იქნა შემდეგი
პროგრამები:

საექთნო განათლება
ქ. საჩხერე

ვებტექნოლოგიები
ქ.თბილისი

სტრატეგიული მიზანი 1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
3. მე-4 დონის
პროფესიულ
საგანმანათლებლო
პროგრამებში ზოგადი განათლების
კომპონენტის ინტეგრირება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

2020 წლის **30** ივლისის
პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს გადაწყვეტილებით
დამატებულ იქნა შემდეგი
ინტეგრირებული პროგრამები:

საოფისე საქმე

ვებტექნოლოგიები

სტრატეგიული მიზანი 1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
4. მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

2020 წლის მარტიდან-მაისის ჩათვლით მოპოვებულ შემდეგი მომზადების პროგრამების განხორციელების უფლება:

ადმინისტრაციული ასისტირება	ქ.თბილისი, ქ.საჩხერე
საოფისე, სამეურნეო მარაგების და საარქივო დოკუმენტაციის მართვა	ქ.თბილისი, ქ.საჩხერე
ელექტრო ტექნოლოგია და უსაფრთხოება	ქ.თბილისი
კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები	ქ.თბილისი
საბაჟო დეკლარირება	ქ.თბილისი
სისტემური ადმინისტრირება	ქ.თბილისი, ქ.საჩხერე
ქსელის ადმინისტრირება	ქ.თბილისი, ქ.საჩხერე
ნარჩენების მართვა	ქ.თბილისი
ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი	ქ.თბილისი

სტრატეგიული მიზანი 1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
4. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული ანგარიშები;
2.შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
3.გადისტანციურებული პროგრამები;
4.დისტანციური სწავლების განხორციელების შედეგები/ანგარიშები

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
1. ინფრასტრუქტურის შეფასება და განვითარება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

განახლებული ინფრასტრუქტურა! ქ.თბილისი დადიანის ქუჩაზე და საჩხერის განყოფილებაში მოპოვებულ იქნა სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა, რაც იშვიათი შემთხვევაა! წერონისის ქუჩაზე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები!

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. საინფორმაციო -სასწავლო რესურსების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;
2.დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
3. ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე განთავსებულია ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციები!
4.ბიბლიოთეკაში შეძენილი ახალი წიგნადი ფონდი;
5.მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დასკვნა.
6.მიმდინარეობს ახალი ვებ-გვერდის შექმნა, 80%-ით დასრულებულ მდგომარეობაშია!

სტრატეგიული მიზანი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
1. პროფესიული სტუდენტების /მსმენელების /მსმენელის უფლებების დაცვა

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;
2.აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულები;
3.შემუსავებული ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების შექმნის რეგულაცია;
4. პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა;
5.შემუშავებულია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი;
6.პროფესიულ სტუდენტებთან და აპლიკანტებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები/ანგარიშები,ჯგუფებში ატვირთული გზამკვლევები, ჩატარდა დაახლოებით ათამდე შეხვედრა სასწავლო პროცესის საკითხებზე!





სტრატეგიული მიზანი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერისა სერვისების გაუმჯობესება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია;

2.ტარდება კვლევები პროფესიულ სტუდენტებთან კმაყოფილების შესახებ;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია • Academy of Business and Technology
22 აპრილი ·
ჩვენო მონატრებულო სტუდენტებო ! ! ! 👩‍🎓👩‍🎓
👩‍🎓თქვენს მიერ შევსებული კითხვარის შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტების უმეტესობას სურვილი გაქვთ ჩაერთოთ შემდეგ აქტივობებში:
✅ მონოლოგის რეჟიმში ისაუბროთ საინტერესო თემებზე.
✅ წაიკითხოთ ლექსი
✅ შეასრულოთ თქვენი საყვარელი სიმღერა 🎼🎸
✅ შემოგვთავაზოთ საცეკვაო ნომერი🕺
✅ დადგათ სკეტჩი თქვენი შერჩეული ეპიზოდის მიხედვით.
👆 ასე გავიხალისოთ კარანტინის პერიოდი
აღნიშნულ აქტივობებზე ჩაწერეთ 3-4 წუთიანი ვიდეო რგოლი 📹 და გაუგზავნეთ ის BTA -ის ადმინისტრაციის ნებისმიერ წევრს.

სტრატეგიული მიზანი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
3. დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი) აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგია;
2.სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია ბიუჯეტი აქტივობების ჩატარებაზე
3.6 თვის განმავლობაში ჩატარებულია ათამდე ღონისძიება , სტუდენტთა ინიციატივების შესაბამისად, ონლაინ პლატფორმით

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:

1. პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა;

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.შემუშავებულდა კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია
2.ჩატარებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების და განვითარების საჭიროებების შესახებ კვლევები;
3. გადაიხედა დოკუმენტაცია და რეკომენდაციების შესაბამისად მიმდინარეობს განახლება!

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. ადამიანური რესურსების სამუშაოზე მიღების, განვითარების, სტიმულირების სისტემის განვითარება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.შემუშავებულია ადამიანური რესურსების სამუშაოზე მიღების, განვითარების, სტიმულირების პროცედურები;
2. 2020 წლის დეკემბერში გაიცა ხელფასის ანამატები/პრემიები პროგრამის ხელმძღვანელებზე/მასწავლებლებზე, რომლებიც ჩაერთო ვერიფიკაციაში ან ჩაატარა საჯარო ლექციები, ასევე რიგ განმახორციელებლებს რექტორის ბრძანებით გამოეცხადათ მადლობა!
3.მოწვეულ იქნა გარე ფასილიტატორები ჩატარებულია შეხვედრები/ტრენინგები/ვორქშოპები კვლევების საფუძველზე, ადმინისტრაციულ პერსონალზე გაიცა სერთიფიკატები
4.საშტატო ერთეულის მიხედვით დანიშნულ იქნა ხარისხის სამსახურის მთავარ სპეციალისტად ახალი თანამშრომელი!
5.შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებულია ადვოკატთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პერსონალის მართვის დოკუმენტაციის/ხელშეკრულებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა!

სტრატეგიული მიზანი 5.ხარისხის მექანიზმების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების განხორციელება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.თვითშეფასება განხორციელებულია და წარდგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში
2. .შემუშავებულია რეკომენდაციები სტარნადრთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით
3.გადაიხედა მარეგულირებელი დოკუმენტები და დამტკიცდა ცვლილებებით!
4.აკადემიის თვითშეფასება პროექტის ფარგლებში შემოწმდა გარე ექსპერტის მიერ და მიიღო დადებითი შეფასება, გაცემულია გაუმჯობესების რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განხორციელდა ცვლილებები შესაბამის რეგულაციებში!



სტრატეგიული მიზანი 5.ხარისხის მექანიზმების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
3. შიდა აუდიტის ჩატარება(**ISO**-ს ექსპერტის ჩართულობით)

სტრატეგიული ამოცანა არ არის შესრულებული

მიზეზი:

დამტკიცდა სათადარიგო გეგმა!

განხორციელდა აქტივობის გადატანა დეკემბერში!

თუმცა დეკემბერში განხორციელდა გარე აუდიტი (დისტანციურად) და აკადემიამ მიიღო დადებითი შეფასება , რის გამოც აღნიშნულმა ამოცანამ დაკარგა აქტუალურობა და შესაბამისად ის არ იქნა გათვალისწინებული ახალ სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიული მიზანი 5.ხარისხის მექანიზმების განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
სერთიფიცირების ორგანოს მიერ გეგმიური და არაგეგმიური შეფასება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

დეკემბერში განხორციელდა გარე აუდიტი (დისტანციურად) და აკადემიამ მიიღო დადებითი შეფასება , რამაც ერთი წლით შეუნარჩუნა აკადემიას აისოს სერთიფიკატის ფლობა

სტრატეგიული მიზანი 6 . ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია

სტრატეგიული ამოცანა:

1. ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება, ახალი პროექტების

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.შეტანილია განაცხადი სკოლის პროექტების განხორციელებაზე(6);-პანდემიის გამო შეჩერებულია პროექტი!

2.მოიმზადების პროგრამებზე დაფინანსების სქემა შემუშავდა დაფინანსების მოპოვების მიზნით.

3. მომზადების პროგრამაბზე აკადემიამ მოიპოვა დაფინანსება და წარმატებით განახორციელა 6 პროგრამა თბილისში და 4 საჩხერეში!

4.ასევე მეორე ეტაპის დაფინანსება მიიღო აკადემიამ და სწავლა დაიწყება 12 აპრილს თბილისში 8 ჯგუფში და საჩხერეში 4 ჯგუფში!

5.აღნიშნული ამოცანის შესრულებამ ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას შეუწყო ხელი!

სტრატეგიული მიზანი 7. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:

1. ადგილობრივი თანამშრომლობის გაფართოება ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიზნით

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1. ახალი თანამშრომელი დაინიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერად!

1. გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან:

- ევექსის ქსელი;
- ა(ა)იპ სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაცია ;
- სს საჩხერის რაი-საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება;
- შპს,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ქ.თბილისსა და ქუთაისში);
- დუალური პროგრამის ხელშეკრულება გაფორმდა სამშენებლო კომპანია“ შპს ქ გრუპთან“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

სტრატეგიული მიზანი 7. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

სტრატეგიული ამოცანა:
2. პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელება

სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია

1.დაბეჭდილია და გავრცელებულია ბუკლეტები;
2.სკოლებში განხორციელდა ვიზიტები (რეგიონის სკოლები მცხეთა და ახალგორი) და ჩატარდა ტრენინგი უფასოდ სახანძრო უსაფრთხოებაზე;
3.კოლეჯის ვებ გვერდზედა სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია რეკლამები;
4.განახლებული კატალოგი;

შემუშავდა
2021-22 წლის სამოქმედო გეგმა

მისია, ხედვა, ღირებულებების განახლების და სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები

პირველ ეტაპი

18-19 თებერვალს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ტრენინგს ფასილიტაციას უწევდა დარგის ექსპერტი გიორგი ცხვედიანი.

ტრენინგის პირველი დღე ონლაინ რეჟიმში ჩატარდა

სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრენინგის თემატიკა:

- მისია ხედვა,ღირებულებები
- დაწესებულების ხედვის იდენტიფიცირება;
- სიტუაციური ანალიზი
- SWOT შეფასების გამოყენება სტრატეგიულ დაგეგმარებაში სტრატეგიული გეგმა.

მეორე დღე განიხილეს:

- სტრატეგიული ამოცანის ფორმირების მეთოდოლოგია.
- SMART კრიტერიუმები, ინდიკატორები;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმარება;
- სტრატეგიული ამოცანის განსაზღვრა;
- სიტუაციური ანალიზის მატრიცის გამოყენება ახალ სტრატეგიულ ამოცანაზე;
- სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- დისკუსია ეფექტური მონიტორინგის მექანიზმებზე;
- სტრატეგიული ბიუჯეტირება.

ტრენინგის მეორე ნაწილში განხილურ საკითხებზე მონაწილეების ჩართულობით ინტერაქტიულად განხორციელდა, კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებების განახლებული ვერსიების შემუშავება განხორციელდა და ასევე განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებების გადახედვა.

მეორე ეტაპი

- **რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი**

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

- აკადემიის რექტორი -ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
- საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი;
- შრომის უსაფრთხოების და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი.

ჯგუფის ჩამოყალიბების ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- პროცესში ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობის გაზრდა;
- გეგმის შემუშავებისას სხვადასხვა ფუნქციური რგოლის წარმომადგენლის ფასეული შეხედულებების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გენერირება;
- გეგმების იმპლემენტაციის ფაზაში მათი მხრიდან მეტი მხარდაჭერა და კოორდინაცია.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაკეთება;
- ახალი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, საჭიროების შემთხვევაში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის კორექტირება და ცვლილებებით წარმოდგენა;
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გაზიარება და მათი ასახვა აღნიშნული დოკუმენტების პრექტებში;
- საბოლოო პროექტების საჯაროობის უზრუნველყოფა.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა კითხვარის ფორმის შემუშავება, რომლებიც მეილებზე და ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში(სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში) გაიგზავნა/განთავსდა

ინდიკატორები, რითაც იზომება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:

- კითხვარი შევსებულია სტუდენტთა/მსმენელთა საერთო რაოდენობის მინიმუმ **10 %-ის** მიერ;
- კითხვარი შევსებულია კურსდამთავრებულთა რაოდენობის მინიმუმ **5 %-ის** მიერ;
- კითხვარი შევსებულია ადმინისტრაციული პერსონალის საერთო რაოდენობიდან მინიმუმ **65 %-ის** მიერ;
- კითხვარი შევსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთო რაოდენობიდან მინიმუმ **10 %-ის** მიერ;
- კითხვარი შევსებულია პარტნიორი ორგანიზაციების (ვისთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის /პრაქტიკისს მემორანდუმები/ხელშეკრულებები) საერთო რაოდენობის 10%-ის მიერ.

მესამე ეტაპი

- სამუშაო ჯგუფის მიერ კითხვარის ანალიზი;
- SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები და, ამასთანავე, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამაც განაპირობა კონკრეტული სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების ჩამოყალიბება.
- SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა აკადემიის ძლიერი და სუსტი მხარეები და, ამასთანავე, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამაც განაპირობა კონკრეტული სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების ჩამოყალიბება.
- გადაიხედა ორგანიზაციის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგია.

აკადემიის SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ენერგიული და მიზანდასახული ხელმძღვანელი; • საკუთარი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი შენობა; • ახალგაზრდული და მეგობრული გუნდი; • მრავალწლიანი გამოცდილება განათლების სფეროში; • განყოფილებები; • ზრუნვა თანამშრომელთა განვითარებაზე; • მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; • ბრენდის პრიორიტეტებზე და უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვა; • კონკურენტუნარიანობა; • სახელწიფო პროგრამებში ჩართულობა; • შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვა; • დისტანციური სწავლების დანერგვა; • მოკლევადიანი მომზადების პროგრამების დანერგვა;	▪ არასაკმარისი პიარ კამპანია; ▪ კვალიფიციური დარგის პროფესიული მასწავლებელთა სიმცირე; ▪ პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია; ▪ სენსორული პრობლემის მქონე პირთათვის არაადაპტირებული გარემო; ▪ დამსაქმებლების/პარტნიორი ორგანიზაციების დაბალი ჩართულობა სასწავლო პროცესში. ▪ კვების ობიექტის უფუნქციონირება.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
▪ უცხოური გამოცდილების გაზიარება; ▪ პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებისა და განითარების პროგრამების დანერგვა; ▪ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა; ▪ განათლების სფეროში არსებულ ცვლილებებთან (უმოკლეს დროში) ადაპტირება; ▪ ახალ პროექტებში ჩართვა; ▪ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა; ▪ კარგი პიარ კამპანიის განხორციელება; ▪ პროფესიულ მასწავლებელთა ჩართულობა სტუდენტთა მოტივირებისა და მოზიდვისათვის; ▪ პროფესიულ მასწავლებლებს და ადმინისტრაციის დატრენინგება საჭიროებების გათვალისწინებით; ▪ პროფესიულ ტესტირებაში ჩართვა, სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების მიღება;	▪ სახელმწიფოს მხრიდან არათამიმდევრული/ხშირი რეფორმა; ▪ ახალი საავტორიზაციო სტანდარტები; ▪ ბიზნესის ფუნქციონირების შეფერხება; ▪ პროფესიულ სტუდენტთა გადინება; ▪ არაჯანსაღი კონკურენცია; ▪ პროფესიული კვალიფიკაციების გაუქმება ;

მისია:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ხედვა:

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს.

ღირებულებები:

- *განათლების ხელმისაწვდომობა;*
- *განვითარებისკენ სწრაფვა;*
- *სამართლიანობა;*
- *პიროვნებაზე ორიენტირებულობა;*
- *პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა*

მეოთხე ეტაპი

- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებების განახლებული ვერსიის განხილვა/გაზიარება ;
- აკადემიის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტის შედგენა;
- აკადემიის 2021-22 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა და გაზიარება;
- საბოლოო პოზიციის შეჯერება;
- აკადემიის რექტორის მიერ გეგმების დამტკიცება და საიტზე განთავსება.

დარედაქტირდა და განახლდა გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანები: 2020- 27 შემდეგი რედაქციით:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება;
3. სტუდენტური/მსმენელთა სერვისების განვითარება;
4.ადამიანური რესურსების განვითარება;
5.ფინანსური რესურსების განვითარება;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება.

მადლობა ყურადღებისთვის!